



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
MARNEULI MUNICIPALITY CITY HALL



ბრძანება:ბ32.32212102

თარიღი:29/07/2021

მარნეულის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის პირველადი პრიორიტეტის დოკუმენტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის და „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 76-ე მუხლისა და მარნეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის 2021 წლის 28 ივლისის #04-3221209108 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

- 1.დამტკიცდეს, მარნეულის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტი დანართის შესაბამისად;
- 2.დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს განახორციელონ საშუალოვადიან სამოქმედო გეგმაზე მუშაობა არსებული პროგრამების/ქვეპროგრამების/ საფუძველზე ზღვრული მოცულობების ფარგლებში.
- 3.დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უზრუნველყოს ამ ბრძანების პირველი პუნქტის შესაბამისად საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის ზღვრული მოცულობები ჭერებისა და რიცხოვნების მითითებით, განაცხადის ფორმებზე მუშაობის დასაწყებად.
- 4.დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს ადმინისტრაციულ სამსახურთან ერთად უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის 202-2025 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავებასთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის კოორდინაცია და საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის შესაბამისი სწავლების ორგანიზება.
5. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ბოლნისი, სულხან-საბას №113), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.
7. ბრძანება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე.

ზაური ტაბატაძე

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია-მერი (დროებით მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

